1. შეთანხმების საგანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების საგანს წარმოადგენს ბანკის მიერ კონტრაქტორ(ებ)თან კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება ამ შეთანხმებაში აღწერილი ზოგადი პირობების და წესების შესაბამისად;

1.2. ხელშეკრულების მიზნებისთვის მხარეებად განისაზღვრებიან სს "პროკრედიტ ბანკი", შემდგომში "ბანკი" (საიდენტიფიკაციო კოდი 204851197; მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #21) და კონტრაქტორი, რომლის დასახელება და კონკრეტული რეკვიზიტები განისაზღვრება მხარეთა შორის შემდგომში გასაფორმებელი/გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით;

1.3. კონტრაქტორი ვალდებულია, დეტალურად გაეცნოს სს "პროკრედიტ ბანკის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procreditbank.ge ტენდერების მენიუში, განთავსებულ წინამდებარე შეთანხმების ყველა პირობას და კონკრეტული ხელშეკრულების გაფორმებამდე წინასწარ წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეთანხმება შეთანხმების ზოგად პირობებს;

1.4. ბანკს უფლება აქვს ცვლილება/დამატება შეიტანოს წინამდებარე პირობებში. ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის საკმარისია იგი განთავსდეს ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge ტენდერების მენიუში, ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე ორი კვირით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებებს/დამატებებს, კონტრაქტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ბანკს ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილებები/დამატებები ჩაითვლება კონტრაქტორის მიერ მიღებულად.

2. საზღაური და ანაზღაურების წესი

2.1. მხარეთა შორის გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ქონების, საქონლის, მომსახურეობის ღირებულება, მისი გადახდის წესი და დრო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

2.2. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო წესით.

3. გარანტია

3.1. ხელშეკრულების საგნის ვარგისიანობის ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

3.2. საგარანტიო პერიოდში ხელშეკრულების საგნის ნაკლოვანების აღმოფხვრის, დაბალი ხარისხით შესრულებული ან წუნდებულად მიჩნეული მომსახურების გამოსწორების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

3.3. კონტრაქტორი ვალდებულია გამოასწოროს ან შეცვალოს ნაკლოვანი ნივთი, უზრუნველყოს დაბალი ხარისხით შესრულებული ან წუნდებულად მიჩნეული მომსახურების გამოსწორება თავისი ხარჯითა და მასალით. ნაკლოვანების აღმოფხვრის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

4. პირგასამტეხლო

4.1. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კონტრაქტორს დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრული იქნება მხარეთა შეთანხმებით;

4.2. შეთანხმებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში კონტრაქტორი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასსეტ შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. კონფიდენციალურობის დაცვა

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ თანამშრომლობის პროცესში მათთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს საბანკო და კომერციული საიდუმლოების, ასევე პერსონალური მონაცემების (შემდგომ - მონაცემები) შემცველი ინფორმაცია, ან/და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი (შემდგომში "ინფორმაცია") ზეპირად, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად), გამოსახულებით, ან მედია საშუალებით. აქედან გამომდინარე, ბანკი და კონტრაჰენტი თანხმდებიან შემდეგზე:

5.1.1. ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული (როგორც ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის/დასრულების შემდეგ) და არ გამჟღავნდება პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, არ მოხდება ინფორმაციის, მათ შორის, მხარის სახელწოდების/სახელის გამოყენება ან გამჟღავნება, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.1.2. ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება მხოლოდ ინფორმაციის მიმღები მხარის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ასრულებენ მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს და რომელთაც ინფორმაციის მიმღები მხარის მიმართ აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ინფორმაციაზე წვდომა/დამუშავება და მისით სარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მიზნებისთვის. მხარეთა თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

5.1.3. გამოკითხვის/კონსულტაციის ჩატარების შემთხვევაში (ასეთის არსებობისას), მისი შედეგების გამჟღავნება მოხდება მხოლოდ შეჯამებული სახით, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა და აღნიშნული ინფორმაციის გამცემი მხარის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

5.1.4. ინფორმაციის გამცემი მხარის მოთხოვნისთანავე, ყველა მასალა, რომელიც შეიცავს, ან ასახავს ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას უნდა დაბრუნდეს ან განადგურდეს. კონტრაჰენტი ვალდებულია, წინასწარ აცნობოს ბანკს, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებას/შენახვას მოახდენს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ინფორმაციის გამცემ მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კონტრაჰენტ მხარეს ინფორმაცია მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების შესახებ და მონიტორინგი გაუწიოს მის მიერ ინფორმაციის დამუშავებას.

5.1.5. მესამე პირებთან ურთიერთობაში არც ერთი წინამდებარე პირობა მხარეთა მიერ არ უნდა იყოს აღქმული, ინტერპრეტირებული და გამოყენებული ერთმანეთის სახელით გამოსვლის უფლებად, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წარმომადგენლობით უფლებას და ერთმანეთის სახელით განცხადებების გაკეთების უფლებას.

5.1.6. ინფორმაციის დამუშავებისას მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და საჭიროებისამებრ უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავების კანონთან შესაბამისობის დადასტურება.

5.1.7. წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბრალეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.

5.1.8. წინამდებარე კონფიდენციალურობის პირობების დარღვევად არ მიიჩნევა ბანკის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება მისი მარეგულირებლისთვის და ყველა იმ ორგანოსთვის, ვის მიმართაც ბანკს ინფორმაციის გაცემის ვალდებულება გააჩნია, გერმანიის საბანკო ზედამხედველობისა და მარეგულირებელი დაწესებულებებისთვის, ბანკის დამფუძნებლებისთვის, შიდა ან/და გარე აუდიტორისთვის ან სხვა მომსახურების გამწევი პირებისთვის.

6. შესაბამისობის დეკლარაცია

6.1. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი აღიარებს, რომ ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება მიწოდების ჯაჭვის ფარგლებს განეკუთვნება. უფრო მეტიც, პოზიტიური ზემოქმედების მიღწევა შესაძლებელია უფრო პასუხისმგებლიანი პროდუქტების ან/და მომსახურების შეძენით და მიმწოდებლებთან თანამშრომლობით. ეს თანამშრომლობა ემსახურება ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ამოცანების წარმატებით შესრულებაზე ორმხრივად დადებითი გავლენის მოხდენას. აქედან გამომდინარე, პროკრედიტ ჯგუფს იმედი აქვს, რომ მისი მიმწოდებლები/კონტრაქტორები ვალდებულებას აიღებენ დაიცვან მინიმალური სტანდარტები და უზრუნველყონ, რომ მათი სოციალურ, გარემოსდაცვით და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით ნაკისრი ძირითად ვალდებულებები შეესაბამებოდეს პროკრედიტის მაღალ სტანდარტებს.

6.2. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი იმედოვნებს, რომ მისი მიმწოდებლები და კონტრაქტორები, როგორც ეს კლიენტების შემთხვევაშია, არ ჩაერთვებიან პროკრედიტის აკრძალულ საქმიანობათა ჩამონათვალში მითითებულ არცერთ საქმიანობაში. რაც მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) იძულებითი შრომის, მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების/ბავშვთა საზიანო შრომის გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან საქმიანობა, დისკრიმინაციული საქმიანობა, ან ისეთი პრაქტიკა, რომელიც თანამშრომლებს უზღუდავს გაერთიანებების წევრობასა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების კანონიერი უფლების გამოყენებას (დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ „აკრძალულ საქმიანობათა ჩამონათვალის“ პირველი პუნქტი);

ბ) საქართველოს კანონმდებლობისა თუ ნორმატიული აქტების, ასევე საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების შესრულება, რომლითაც რეგულირდება ნებისმიერი პროდუქციის წარმოება ან/და ვაჭრობა, ან ნებისმიერი საქმიანობა (დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ „აკრძალულ საქმიანობათა ჩამონათვალის“ 24-ე პუნქტი).

6.3. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი იმედოვნებს, რომ მისი მიმწოდებლები/კონტრაქტორები დაიცავენ პროკრედიტ ჯგუფის/ბანკის ეთიკურ ღირებულებებს და დაადასტურებენ, რომ ისინი არ მონაწილეობენ ფულის გათეთრებაში (იხ. ასევე ქცევის კოდექსი).

6.4. ქცევის კოდექსის თანახმად, პროკრედიტ ჯგუფისთვის/ბანკისთვის დაუშვებელია მექრთამეობა ან კორუფცია. შესაბამისად, საქმიანი ურთიერთობა არ შეიძლება დამყარდეს ან გაგრძელდეს, თუ ცნობილია, რომ პოტენციური მიმწოდებელი კორუფციულ ან/და თაღლითურ საქმიანობაშია ჩართული. ხაზგასმით აღინიშნება, რომ პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი არ იღებს რაიმე სახის ქრთამს და არ იქნება შემწყნარებელი მიმწოდებლის/კონტრაქტორის მხრიდან მსგავსი პრაქტიკის განხორციელების შემთხვევაში. თუ გამოვლინდება, რომ რომელიმე მიმწოდებელი ან კონტრაქტორი ასეთი ტიპის საქმიანობაშია ჩართული, ის პოტენციური პარტნიორი ვერ გახდება/არ იქნება.

6.5. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი იცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (1948წ.) და მისი მიმწოდებლებისგან და კონტრაქტორებისგანაც იგივეს ელის.

6.7. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი იმედოვნებს, რომ მისი მიმწოდებლები სერიოზულად მოეკიდებიან ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის (HSSE) საკითხებს, ასევე უზრუნველყოფენ ყველა დაკავშირებული მოქმედი კანონისა და რეგულაციის შესრულებას.

6.7. პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი იმედოვნებს, რომ მისი მიმწოდებლები/კონტრაქტორები ვალდებულებას აიღებენ და ჭეშმარიტად დაიცვან ამ დოკუმენტში ასახულ სტანდარტებს. მიმწოდებლებმა საკუთარი ვალდებულება პროკრედიტ ჯგუფთან/ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან/ინფორმაციასთან გონივრული დაშვების უზრუნველყოფით უნდა გამოხატონ. აღნიშნული სტანდარტების სერიოზული ან/და განგრძობითი დარღვევის შემთხვევაში, პროკრედიტ ჯგუფი/ბანკი აუცილებელ ზომებს გაატარებს საქმიანი ურთიერთობის შესაწყვეტად.
6.8. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარე ადასტურებს, რომ გაეცნო ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ "აკრძალულ სოციალურ და ეკოლოგიურ საქმიანობათა ჩამონათვალს" და "ქცევის კოდექსს", ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს შესრულების ვალდებულებას;

7. მხარეთა განცხადებები და გარანტიები (სანქციები)

წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი:

ა) "უფლებამოსილი პირი" (სანქციების მიზნებისათვის) ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო-UN), ევროკავშირის (EU), გერმანიის ბუნდესბანკის, საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, გაერთიანებული სამეფოს (UK), ამერიკის შეერთებული შტატების (USA) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ირგანოებს/პირებს, წარმომადგენლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირის დასანქცირების უფლებამოსილება.

ბ) "სანქცირებულ პირთა სია" ნიშნავს „უფლებამოსილი პირ(ებ)ის" მიერ შედგენილ და საჯაროდ გამოქვეყნებულ პირთა სიას, რომლებზეც ვრცელდება სხვადასხვა სახის შეზღუდვები და სანქციები.

გ) "სანქცია" ნიშნავს უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას.

7.1. კონტრაჰენტი/მიმწოდებელი აცხადებს და აცნობიერებს, რომ ბანკი მხოლოდ მის მიერ წინამდებარე მუხლში მოცემული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს წინამდებარე გარიგებას. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები სრულად ვრცელდება კონტრაჰენტის/მიმწოდებლის უფლებამონაცვლის, მემკვიდრის/სამართალმემკვიდრის მიმართ.

7.2. კონტრაჰენტი/მიმწოდებელი ადასტურებს, რომ გარიგების დადების მიზანი არ არის ტერორიზმის ან/და სხვა ნებისმიერი უკანონო საქმიანობის დაფინანსება და რომ გარიგების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მათი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან, (ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან), ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

7.3. კონტრაჰენტი/მიმწოდებელი (ასევე მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტის, აღმასრულებელი, სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი, ასევე მის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მის მხარეს ჩართული მესამე პირები) ამ გარიგების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს:

ა) უფლებამოსილი პირების მიერ არ არიან/იქნებიან შეყვანილი სანქცირებულ პირთა სიაში, ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია.

ბ) არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც ვრცელდება უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი სავაჭრო სანქციები/შეღუდვები.

გ) პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/ან წინამდებარე გარიგების ხელმოწერის შემდეგ შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში, ან/და გავრცელებული იქნება სანქცია, ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი სანქციები/შეღუდვები.

დ) პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი სანქციები/შეზღუდვები.

7.4. კონტრაჰენტი/მიმწოდებელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს: ა) ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე მუხლში მოცემული ვალდებულებების დარღვევა; ბ) ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ბანკის აქტივებს/ქონებას/რეპუტაციას; გ) ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება წინამდებარე გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

7.5. კონტრაჰენტი/მიმწოდებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ გარიგების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი და გარიგების შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა და მომავალშიც, დანართის/ცვლილების დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა.

7.6. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული განცხადებები და გარანტიები, ასევე სანქციებთან დაკავშირებული დათქმები ძალაშია მხარეთა მიერ წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე,

მიუხედავად წინამდებარე დოკუმენტის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

7.7. კონტრაჰენტის/მიმწოდებლის მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ გარანტიებთან, განცხადებებთან და/ან ვალდებულებასთან შეუსაბამობა ბანკის მიერ განხილული იქნება გარიგების არსებითი პირობის დარღვევად, რაც თავის მხრივ, ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებას დაუყოვნებლივ, ცალმხრივად, გარიგებით დადგენილი ვადამდე შეწყვეტის პირობების დაცვის გარეშე, შეწყვიტოს წინამდებარე გარიგება ამ უკანასკნელით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

7.8. კონტრაჰენტის/მიმწოდებლისათვის ცნობილია და იღებს ვალდებულებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მისი მოქმედების ვადის განმავლობაში სრულად დაიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მარეგულირებელ კანონმდებლობას (შემდგომში ESG" (Environmental, Social and Governance)) და მიიღებს ყველა მაკორექტირებელ ზომას თუ მისი საქმიანობის ფარგლებში EშG კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და/ან დარღვევა გამოვლინდება.

7.9. ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საკუთარი შეხედულებით, მრავალჯერადად შეამოწმოს კონტრაჰენტის/მიმწოდებლის EშG შესაბამისობის ისტორია. შესაბამისად, კონტრაჰენტის/მიმწოდებლის ვალდებულია ითანამშრომლოს ბანკთან და შემოწმების ფარგლებში მიაწოდოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასევე დაუშვას ბანკის წარმომადგენელი საწარმოოს ადგილას შემოწმების მიზნით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთ ვალდებულებების შესრულებისგან ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორსმაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას;

8.2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობით აცნობოს ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში;

8.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე;

8.4. ფორსმაჟორული გარემოებების 1 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორსმაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

9. სხვა დებულებები

9.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ზოგადი პირობები და გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისათვის, რწმუნებულისათვის, დამხმარე-მომსახურე და მუშაკისთვის;

9.3. მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 კალენდარული დღით ადრე, მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს შეწყვეტის მომენტისათვის ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის, ქონების ან მიღებული მომსახურეობის ღირებულებას, ავანსად გადახდილი თანხის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

9.4. გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა ცვლილება და შეთანხმება ძალაში შედის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმით;

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;

9.6. მხრეთა შორის გაფომებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება სასამართლოს მიერ მოქმედი კანონმდებლოს საფუძველზე.

9.7. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების ბათილობა ან გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას ან გაბათილებას;

9.8. თუ კონტრაქტორთან გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ის რომელიმე პირობა პირდაპირ ან ირიბად ეწინააღმდეგება წინამდებარე ზოგად პირობებს, უპირატესობა ენიჭება კონტრაქტორთან გაფორმებულ კონკრეტულ ხელშეკრულებებს.